№ 207 ოქტომბერი 1, კვირა 1889 ოქტომბერი 1, კვირა № 207

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, ტატ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სალიტერატურო და პოლიტიკური გაზეთი 1877—1889

## სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მოევლიშვილისა

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—15)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 3 ოქტომბერს

ქართულის თეატრის არტისტები

წარმოადგენენ:

I

**ყურდა გავიყარნეთ**

კომედ. 3 მოქმ., თხზ. ვ. სარდუსი

II

**სცენები**

„მიროვოი სუდიასთან“

ერთ მოქმედ., თხზ. დ. სოსლანისა,

მონაწილენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, გახიმისა, ჩერქეზიშვილისა; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, ცაგარელი, გედევანოვი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 8 საათზე.

## ახალი ამბავი

*** თ. სვიმონ გიორგის ძე წერეთელი, ამორჩეული ქუთაისის თავად-აზნაურთაგან გუბერნიის მარშლად, უმაღლესის ბძანებით 16 სექტემბერს დამტკიცებულ იქმნა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლად.

*** წელს, 23 აპრილისას, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ არზა მიართვა ტფილისის გუბერნატორს და სთხოვა ნება-რთვა წიგნის მაღაზიის გამართვისათვის. ამ დღეებში გამგეობას პასუხი უკვე მოუვიდა და ნება-რთვაც მიიღო.

*** ტფილისში კარგად ცნობილს ბ-ნს ალ. როინაშვილს ნება-რთვა მიუღია ფოტოგრაფია და მუზეუმი გაჰმართოს ტფილისში.

*** წმ. მარინეს ეკკლესიის მღვდელი მამა შოშიაშვილი დაუნიშნავთ ტფილისის ბლაღოჩინად მამა არდაზიანის მაგიერად, რომელიც მოხუცებულობის გამო სამსახურიდგან გადადგა.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნ ალნიაშვილის ქართულ ხოროს დაუმზადებია საგალობელი პარაკლისი საკვირაოდ, 1 ოქტომბრისთვის, მცხეთობა დღეს, მცხეთის ტაძარში საგალობელად, სადაც მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალადი იქნება მწირველი. დარწმუნებული ვართ, რომ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ნებას დართავს და აგალობებს ალნიაშვილის ქართულ ხოროს ამ დღეს მცხეთის ტაძარში.

*** პარასკევს ფორკატის დასმა წარმოადგინა ოპერეტი „პალერმოელი მომღერალი“. ოპერეტმა კარგის ანსამბლით ჩაიარა. მომღერლის როლი ჩინებულად შეასრულა არტისტმა ლოდიმ. ჰერცოგინიას თამაშობდა ქ-ნი ტროცკაია, რომელიც საზოგადოებამ დაასაჩუქრა ხანგრძლივის ტაშის კვრით. არ იყო ურიგო აგრეთვე არტისტი ფატეევი, რომელმაც საკმაოდ კარგა იმღერა სხვა-და-სხვა კუპლეტები. თვით ოპერეტი, პირველს ორს მოქმედებაში მაინც, უფრო ოპერაა თავისის შინაარსით, ვიდრე ოპერეტი. ხოლო უკანასკნელს მოქმედებაში ეძლევა ოპერეტული ხასიათი. მიუხედავად ამისა „პალერმოელი მომღერალი“ ფორკატის დასის რეპერტუარში დაიჭერს საპატიო ადგილს, როგორც თავისის საუცხოვო სიმღერებით, აგრეთვე მხიარულისა და სასიამოვნო მუსიკითა და სასაცილო სცენებით. საზოგადოება ბლომად დაესწრო, თეატრი თითქმის სულ სავსე იყო.

*** სექტემბერში ტფილისელ სახლის პატრონებს დაურიგდათ ქაღალდები შესახებ ახალის სახაზინო გადასახადისა უძრავს ქონებაზე. ეს ახალი გადასახადი თითქმის ერთს მეოთხედს ნაწილს უდრის დასაფასებელის ხარჯისას. ვადა ამ ფულის შეტანისა არის თოთხმეტ ოქტომბრამდე. ვინც ამ ვადაზე არ შეიტანს, ჯარიმა გადაჰხდება თითეში მანათზე ერთი კაპეიკი, ხოლო თუ რამდენსამე თთვეს გადააცილა, მაშინ გაეყიდება მოძრავი და შემდეგ უძრავი ქონება. როგორც აწვენებს სია ამ ხარჯის გადამხდელთა, უნდა ითქვას, რომ ტფილისელნი ძრიელ სცდილობენ დროზე შეიტანონ ეს ახალი გადასახადი, მარტო მცირეოდენი ნაწილი თუ ლა დარჩება ისეთი მოხარჯე, რომელიც გადააცდენს თოთხმეტ ოქტომბერს.

*** როგორც შევიტყეთ, ბ-ნ ყორღანოვს განზრახვა ჰქონდა პირველ ოქტომბრისთვის სრულებით დაემზადებინა ცხენის რკინის გზის ლიანდაგი და კიდეც დაეწყო ხალხის ტარება. თუმცა სექტემბრის განმავლობაში ძალიან გაცხარებული იყო მუშაობა ამ გზაზე, მაგრამ მაინც დასრულებას ცოტაოდენი კიდევ აკლია. რელსები თითქმის სულ გაწყობილია, ხოლო ლიანდაგი არ არის ქვით მოკირწყლული თავიდამ ბოლომდე და ამ საქმეს კიდევ მოუნდება რამდენსამე დღეს ბეჯითად მუშაობა.

*** სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში ეგზამენები იყო ახლად გახსნილს სკოლაში, სადაც ასწავლიან მიწის ზომის საქმეს. ამ სკოლაში შესვლის სურვილი ჰქონდა თითქმის ას ოცს ახალგაზდას. მათ შორის თითქმის ორმოცმა ყმაწვილმა უარი მიიღო ეგზამენის დაჭერისა, რადგან მართლ-წერის გამოცდაში არ გამოდგნენ შესაფერნი. ეგზამენზე მიუშვეს ოთხმოცამდე ახალგაზდა. ეს ახალ-

## ფელეტონი

ორი ობოლი

(მოთხრობა)

I

ის იყო სადილი გაეთავებინათ და მამა და მისი 16 წლის მემკვიდრე ქალი ხელ-გადახვეულები დივანზე ისხდნენ.

— მამა, ჰკითხა ქალმა: შენ უცხოელნი ხომ არ გეჯავრება?

— რად უნდა მეჯავრებოდეს,— უპასუხა მან:— ხანდახან უცხოელი შინაურზე საყვარელია, მეტადრე...

— მეტადრე თუ ის უცხოელი დევნილი და დაჩაგრულია, არა?

— ეგ არ უნდა მეთქვა, მაგრამ ეგეც საბუთია...

— კმარა. სწორე გითხრა მამა, იმ უცხოელზე, რომელიც დღეს ჩვენთან უნდა მოვიდეს, იმდენი რამ მოსაწონი ილაპარაკეს, რომ, თუმცა ჯერ არ მინახავს, მაინც ძალიან პატივსა ვცემ.

— ჰო, მართლა, მე სულ დამავიწყდა, უთხრა ალერსით მამამ შვილს: ის ხომ შენი მასწავლებელი უნდა გახდეს!

— დიაღ, უპასუხა ქალმა: მოუთმენლად ველი იმის ნახვას და პირველის გაკვეთის მოსმენას.

— ახირებული ქალი ხარ, ჩემო კარგო, აბა რაში გამოიყენებ იმ ენას! ვინც იმ ენაზე ლაპარაკობს, იმათაც ვერ გამოუყენებიათ მგონი და შენ რაში გინდა.

— მაშ რა უნდა მექნა, მამა. იმას სხვა არაფრის სწავლება არ შეუძლიან. მათემატიკა კარგად იცისო, მაგრამ ჩემს დიდის ხნის მათემატიკის მასწავლებელს ხომ ვერ დავითხოვთ! და თუ ხარჯს ერიდები... წყენით წაიბუტბუტა ქალმა და აღარ დაასრულა თავისი სათქმელი.

— ეგ როგორ შემოჰწამე, ჩამოართვა სიტყვა მამამ: შენ კარგად იცი, რომ ასი მაგდენის მასწავლებლის დაჭერა მე არ შემავიწროებს და თუ გეუბნები, ეს იმიტომ-რომ მეტს ჯაფას აგაცდინო. თუ შეწევნა გინდა, განა სხვაფრივ არ შეიძლება!

— არა, მამა, არა, უპასუხა ქალმა: მაგაზე მე ბევრი ვიფიქრე და სხვა ნაირად შეწევნა ვერ მოვახერხე: ის თურმე მეტად თავ-მომწონე ყმაწვილია. იცი, კვლავ განაგრძო ქალმა ღიმილით: გუშინ რა მიამბეს იმაზე? თურმე ერთხელ სკოლაში დახეულის სერთუკით მივიდა და ერთმა საძაგელმა შეგირდმა ჰკითხა: „თქვენში მათხოვრები ბევრნი არიანო?“ ამაზე საწყალი საშინლად გაწითლდა თურმე და გაანჩხლებულმა უპასუხა: «დიახ, ძალიან ბევრნი არიან, მაგრამ თქვენებურს მათხოვრებს არა ჰგვანანო! თქვენში მდიდარი ბძანებლობს და მტარვალობს, ჩვენში-კი ღარიბი მბძანებლობს და მოსამართლობსო!“ მერე თურმე მიუბრუნდა სხვა შეგირდებს, თავის ამხანაგებს, და უთხრა: „მე თქვენი წყენა არ მინდოდაო...“

— მერე, უპასუხა ღიმილით მამამ: განა მაგისთვის მოგწონს ის ყმაწვილი, ან მიხვედრილი-კი ხარ, რა პასუხიც მიუცია თავის ამხანაგებისათვის?!

— არა, კარგად არ მესმის, მაგრამ მაინც მომწონს. სწორედ გმირულსა და პატიოსანს პასუხსა ჰგავს. არა, მარტო ამისთვის ხომ არ მომწონს?... იმას თურმე ძალიან უყვარს თავის სამშობლოცა... მართლა, მამა, სიცილით განაგრძო შვილმა: გუშინ ყმაწვილებმა ათასჯერა სთქვეს, რომ იმ უცხოელს თავისი ქვეყანა გაგიჟებით უყვარსო. მე ამისთანა სიყვარული ჯერ არ გამიგონია და ვერც წარმომიდგენია. მამის სიყვარული ვიცი, დედისაცა. ძმისა და დის სიყვარულიც გამიგონია, მაგრამ სამშობლო ქვეყნის სიყვარული-კი არა.

ამ დროს ბიჭმა ბატონს სადარბაზო ბარათი მიართვა.

— ის იქნება, ის! სიხარულით წამოიძახა ქალმა და მამას არც-კი დააცადა სათვალეების გაკეთება, გამოსტაცა ხელიდგან ბარათი და წაიკითხა. პეტრე რჭმეეია, მამა, პეტრე! წამოიძახა ქალმა და მერე ბიჭს უბძანა, სტუმარი დარბაზში შემოიწვიეო. ძალიან მიყვარს, მამა, ეს სახელი! ჩქარა გავიდეთ დარბაზში, პეტრე გვიცდის.

მამა წამოდგა, პატარა ხანს ქალს თვალი გაუშტერა და მერე ღიმილით თითი დაუქნია. ქალმა ხტუნაობას თავი დაანება და გაწითლდა. მერე მამისაკენ გაექანა და თავი გულზე დააყრდნო, თითქოს სირცხვილისაგან გაწითლებული სახე უნდა დამალოსო. მამამ გაუცინა, შუბლზე აკოცა და ხელ-მოხვეული სასტუმრო ოთახში გაიყვანა.

II

კარგა ხანმა გაიარა. პეტრე ისევ ამ უმანკო და მშვენიერის ქალის მასწავლებელი იყო. ყმაწვილს კაცს ეხლა სუფთად ეცვა და გამოპრანჭული დაიარებოდა. თუმცა პეტრეს არ უყვარდა კოხტაობა, მაგრამ იმ ხნებში თავისი ახალი სერთუკი მაინც აღარ მოსწონდა, ძალიან თალხნად მადგია და ცოტა გძელიც არისო. წაღებიც კოხტა და წვეტიანები ჩაეცვა, ერთის სიტყვით, კარგად ჩაცმულ-დახურული დაიარებოდა. ამხანაგებისა-კი სცხვენოდა, რომ ასე სუფთად და კარგად იცვამდა. პეტრე სცდილობდა გაემართლებინა თავი ამხანაგების წინაშე და ნამდვილს მიზეზს-კი არ ასახელებდა ასეთის ჩაცმა-დახურვისას.

გულში-კი კარგად ჰგრძნობდა რა მიზეზიც იყო, რომ ასე გამოიცვალა ცხოვრება. თავის თავს ესაყვედურებოდა და ემდურებოდა: ჩემს მეგობრებს ვატყუებო. მერე რისთვის, რის გულისათვის?! ერთხელვე და სამუდამოდ გადაწყვეტილი მაქვს, რომ იმის შერთვა მე არ შემიძლიან და იმის არშეყობისთვის მოცდენა ხომ ჩემის საქმის ღალატი იქნება, და ღალატი-თვის კიდევ მამიჩემის წყევლა მომელის. ან-კი განა მარტო მამიჩემისა?

ასეთს ფიქრებში იყო ხოლმე გართული პეტრე, მაგრამ შეგირდ-ქალთან წასვლის წინად მაინც კაი ხანს სარკეში იყურებოდა. მერე რაო, ჰფიქრობდა გულში: ამას ხომ საარშიყოდ არა ვჩადივარ, კაცს სისუფთავე და ლაზათი უნდა უყვარდეს!..

—

სულ სხვა ნაირად ელოდებოდა ხოლმე ლიზა პეტრეს ნახვას. ის არც ტანისამოსს იცვლიდა, არც სარკეში იყურებოდა. გარეგნობით ცვლილება არა დასტყობია-რა. ეს-კი იყო, რომ თავისებურად აღარა ცელქობდა, აღარ დაცქრიალებდა და მამის ხუმრობაზე ისე გულიანად აღარ იცინოდა, როგორც წინად. მამა კარგად ჰხედავდა, რომ იმის ქალის თავს რაღაც ამბავი იყო და ეს გარემოება ერთის მხრით აწუხებდა, მეორეს მხრით-კი ახარებდა.

— ჩემი სიცოცხლე, ჩემი ბედნიერება, ჩემი სიყვარული ჩემი ქალი არისო, ჰფიქრობდა ლიზას მამა: ოღონდ-კი ის მყავდეს ცოცხალი, ოღონდ-კი იმან იხაროს და დეე, ვინც გულით უნდა, ის აირჩიოს თავის სამუდამო მეგობრად, თავის საბედოთაო.

— შვილო! უთხრა ერთხელ მამამ, როდესაც თავისი შვილი დაღონებული დაინახა: გაიცინე და გაახარე მამაშენი. რა გაწუხებს, ჩემო სიცოცხლევ, მამა შენი მაინც არ გებრალება?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზდანი სხვა-და-სხვა სასწავლებლიდამ იყვნენ. აქა ჰნახავდით კლასიკებსაც, რეალისტებსაც, სათავადო ინსტიტუტელებსაც და, ასე გასინჯეთ, მაღალ სასწავლებლის სტუდენტებსაც. ამ რიცხვიდამ ორმოც ყმაწვილამდე შეიქმნა ღირსი სასწავლებელში მიღებისა, როგორც გამოცხადებული იყო სექტემბრის 30. ამ თთვის დასაწყისს რიცხვებში კიდეც დაიწყება სწავლა ამ ახალს სკოლაში.

*** კუხისა და გუბის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის გამგეობა გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი ანგარიში ამხანაგობისა: პირველ იანვრის მდგომარე წლისას კუხისა და გუბის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის სააღებმიცემო ფულს შეადგენდა რვა ათას ჩვიდმეტი მანეთი და 44 კაპ. (8017—44). ამ ფულიდგან ნაღდად იყო კასსაში 735 მან. 74 კაპ., საქონლით—160 მანეთი, დანარჩენი-კი 7,121 მან. 70 კაპ. გასესხებული იყო ამხანაგებზედვე თორმეტ პროცენტად, ესე იგი მანეთი თთვეში თითო კაპეიკად. ამ რვა ათას ჩვიდმეტის მანეთიდგან ამხანაგების წილის ფული ანუ თავნი იყო 3,854 მანეთი 59 კაპ., დროებით სასარგებლოდ შემოტანილი (მობარებული)—3,278 მანეთი 44 კაპ., სათადარიგო თანხა ამხანაგობისა 160 მან. 44 კ., გადასაცემად დანიშნული («გადასავლითი»)—211 მან. 64 კაპ., წმინდა მოგება წარსულის წლისა 512 მან. 13 კაპ. სულ 8,017 მან. 44 კაპ. ამ რვა თთვის განმავლობაში (იანვრიდგან აგვისტოს გასვლამდე) ამხანაგობის შემოსავალს შეადგენს: წილის ფული 743 მანეთი 36 კაპ., სარგებელი გასესხების დროს აღებული, 600 მანეთი 85 კაპ., ჯარიმა 8 მან. 40 კაპ., სესხი დაბრუნებული 8,663 მან. 55 კაპ., შესანახავად შემოუტანიათ 265 მანეთი 54 კაპ., სათადარიგო თანხას მომატება წინა წლის მოგებიდგან 51 მანეთი, სხვა-და-სხვა შემოსავალი (თამასუქების და საამხანაგო წიგნაკების ფული) —14 მან. 98 კაპ., „გადასავლითი" (ფული დანიშნული შემდეგში მისაცემად) 205 მან. 74 კაპ. სულ რვა თთვეს აუღია ამხანაგობას ათი ათას-ხუთას ორმოცდა თორმეტი მანეთი და 42 კაპეიკი (10,552—42). ამავე დროს მიუცია ამხანაგობისათვის: წილის ფული (გამორიცხულ ამხანაგებს გადეწერათ „გადასავლითში")—209 მან. 60 კაპ., მოგება წინა წლისა—254 მან. 18 კაპ., სესხად—9,212 მან., სარგებელი დაბრუნების გადამდის სესხის დამბრუნებელთ—8 მან. 46 კაპ., მობარებული ფული უკანვე წაუღიათ—649 მან. 69 კაპ., სარგებელი მობარებულის ფულისა 314 მან. 14 კაპ., სამმართველოს ხარჯი, სამს წევრს გამგეობისას თთვეში თითოს რვა მანეთი, რჩევის წევრთ წინა წლის მოგებიდგან სამი პროცენტი—79 მ. 74 კაპ., სხვა და-სხვა ხარჯი (პეტერბურგის კომიტეტს 5 მან. და სესხის გადახდევინების ხარჯი 1—10 კ.)— 6 მ. 10 კ. „აღებ-მიცემობითი" (ფული მიმატებული წილის ფულზედ და სათადარიგო თანხაზე მოგებიდამ წინა წლისა)—235 მანეთი 70 კაპ. „გადასავლითი" (წინა წელში გადადებული მისაცემად წელს მიუციათ)—157 მან. 98 კ. სულ რვა თთვის გასავალი—11,127 მან. 39 კ. ენკენისთვის პირველისათვის ამა წლისა ამხანაგობას აქვს შვიდი ათას ცხრა ასოთხმოც და ათი მანეთი და 72 კაპ (7990—72) ამ ფულიდგან წლის ფული არის 4387 მან. 35 კაპ., მობარებული ფული—2,894 მან. 29 კაპ., სათადარიგო თანხა—211 მან. 64 კაპ., „გადასავლითი"—259 მან. 40 კაპ., წმინდა მოგება—238 მან. 04 კაპ. სულ 7990 მან. 72 კაპ. ამ ფულიდგან გასესხებულია 7670 მან. 15 კაპ., ნაღდად არის კასსაში—160 მან, 57 კაპ., ინვენტარი—160 მანეთი.

რომ შევადაროთ ეხლანდელი მდგომარეობა ამხანაგობისა წინანდელს, გამოვა, რომ ამხანაგობის მთელს სააღებმიცემო თანხას ამ ანგარიშის თთვეში დაუკლია 27 მანეთი. რადგან მაშინ მთელ თანხას შეადგენდა 8.017 მანეთი, ახლა-კი 7,990 მანეთი. დაწვრილებითის ანგარიშიდგან დავინახავთ, რომ წილის ფულს (თავნს) ამხანაგობისას მომატებია წინანდელზედ 533 მანეთი, რადგან წინად წილის ფული იყო 3,854 მან., ახლა-კი არის 4,387 მან. მაგიერად მობარებულს მოჰკლებია 384 მ. წინად იყო სულ 3,278 მან., ახლა კი 2,894 მან. აქვე შევნიშნავთ, რომ ამხანაგობას აქვს გასასყიდი დავთრები, რომლებიც უწყვია ქუთაისში და დაბა ხონში წერეთლის წიგნის მაღაზიებში. შემოსავლის დავთარი ღირს 1 მ., გასავლისა 80 კაპ., სესხისა და წილის ფულის აღებ-მიცემობისა 2—70 კაპ., ანგარიშის წიგნაკები თაბახი 2 კაპ.

# უცხოეთი

ინგლისი. 19 სექტემბერს ჩემბერლენს სიტყვა წარმოუთქვამს ნიუკესტლში უნიონისტების წინაშე და მოჰყოლია დამტკიცებას, რომ ირლანდიის შესახები პოლიტიკა მთავრობისა არ არის პოლიტიკა ძალ-მომრეობისა, არამედ სრულს კანონიერებაზეა დაფუძნებულიო. ამაზე გაზეთი „Daily News"-ი ამბობს: საქმე ხომ სახელი არ არისო. მისტერ ჩემბერლენმა რომ საპატიმროს სასტუმრო დაარქვას და ფიცრის ტახტს დაჭრილისათვის რბილი საკაცე, ამით ხომ მათი ჭეშმარიტი ბუნება არ შეიცვლება. ინგლისის ერმა კარგად იცის, რომ მთავრობამ აღკრძალა კრების გამართვა, მთავრობა აპატიმრებს პარლამენტის წევრთა იმიტომ, რომ ამომრჩევლების წინაშე თავისუფლად ლაპარაკობთო; მღვდლებს კიდევ იმიტომ, რომ უმოძღვრებთ თქვენს სამწყსოსაო; პატარა ყმაწვილებს იმიტომ, რომ გაზეთებს რათა ჰყიდითო, და ზოგიერთს ირლანდიელებ კიდევ იმიტომ, რომ გძულთ პოლიციის მოხელენიო. ჩემბერლენს როგორიც სახელიც ჰნებავდეს, ისეთი სახელი უწოდოს ამ პოლიტიკას. ინგლისის საზოგადოება-კი ჰფიქრობს და ყოველ დღე ამბობს კიდეც, რომ ახალ მოდის პოლიტიკა ჩემბერლენისა, ვითომ სრულს კანონიერობაზე დაფუძნებული, ყოვლად საზიზღარი, ძველებური პოლიტიკაა ძალ-მომრეობისა და ამ პოლიტიკას ბოლო უნდა მოეღოსო.

საფრანგეთი. როშფორის გაზეთს „Intransigeant"-ს დაუბეჭდია, რომ ის ფული, რომელიც გადადებული იყო სამხედრო სამინისტროსათვის, გადასცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს და დაჰხარჯეს მთავრობის კანდიდატების ასარჩევად ამ ბოლო არჩევანებზეო. მინისტრებს ამაზე ბჭობა ჰქონიათ პრეზიდენტის კარნოს თავმჯდომარეობით და გადაუწყვეტიათ, სამართალში იქმნას მიცემული და დაჰბრალდეს შეურაცხება მთავრობისა დიფამაციის წესით და იქ ნაფიც მსაჯულთა წინაშე დაამტკიცოს გაზეთმა საბუთებით, თუ მართლა ჯარის სურსათის სასყიდლად გადადებული ფული არჩევანების მოსახერხებლად იქმნა დახარჯულიო.

გერმანია. იმპერატორი გერმანიისა, ეს ძლიერი ხელმწიფე მთელს ევროპაში, ათინიდამ სტამბოლში აპირებს მისვლას. ხონთქარი აბდულ-ჰამიდი ძალიან მოხარულია, რომ ასეთს გაბედნიერებას უპირობს გიაურების იმპერატორი. ჯერ აქამომდე არც ერთი ევროპის ხელმწიფე არა ყოფილა სტამბოლში და საზოგადოდ ოსმალეთში. ვილჰელმ II პირველია, რომელმაც გადასწყვიტა ნახვა ოსმალეთისა. ამბობენ, რომ ოსმალეთი ამ ნახვის შემდეგ სამთა კავშირს მიემხრობაო.

სერბია. დედოფალს ნატალიას განუზრახავს სამუდამოდ ბელგრადში დარჩენა. რეგენტებს-კი ეგონათ, რომ ერთ ორ-სამს კვირას იქნება, ნახავს თავისს შვილსა და ისევ წავა სერბიიდამაო. დედოფალი ეხლა სცხოვრობს ვუჩევიჩის ქალის სახლში და უთქვამს, რომ მალე მე ჩემს საკუთარს სახლს ავაშენებ და ვიცხოვრებ შიგ; მთავრობისაგან არას ვითხოვ და პოლიტიკაშიაც არ გავერევიო. რაიცა შეეხება შვილის ნახვას, დედოფალს ჯერ-ჯერობით შვილი არ უნახავს, რადგან ამ საგნის გამო მოლაპარაკება ვერაფრით ვერ დასრულდა. ახალგაზდა მეფე ძალიან შეწუხებულია და მეორე დღეს გამწარებულს უთქვამს: „წამიყვანეთ სადმე აქედამაო." რეგენტები-კი ამბობენ: გაიგო თუ არა შვილმა, რომ დედოფალს არ უნდა მიიღოს არც ერთი ჩვენი პირობა თქვენის ნახვის შესახებაო, ნიშის ქალაქში მოისურვა წასვლა, მაგრამ ჩვენ არ დავეთანხმეთო. დედოფალი იმ აზრისაა, რომ ჩემის შვილის საბედნიეროდ მე დიდად მსურველი ვარ— რეგენტობას ემორჩილებოდეს სერბიის ერიო...

საფრანგეთი. გაზეთებში სწერენ: დიდის ამბით გადიხადეს დღესასწაული ჯილდოების დარიგებისა ექსპონენტებისათვის. ამ დღესასწაულზე შეიყარა 20 ათასამდე კაცი. კარნომ წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ მეტად შინაარსიანი სიტყვა, რომელმაც დიდად ასიამოვნა დამსწრენი. პირველში კარნო თითქოს შეკრთა, მაგრამ ორ-სამს წუთს შემდეგ გადაუარა შე-

---

ქალმა ძალა-უნებურად გაუღიმა მამას, მიეალერსა და თავის გამართლებას მოჰყვა:

— არა, მამა, მე მოწყენილი არა ვარ, ცოტათი დავიღალე და იმიტომ თუ გეჩვენები მაგრე.

— მერე რად იღალავ თავს, ჩემო კარგო, თუ შენ კარგად არ იქნები, რად გინდა ეგ სწავლა?

— მამა, სიცილით უთხრა ლიზამ: ეგრე ბეჯითიც ნუ გგონივარ. პირ-იქით, ჩემს თავს ძრიელ ვაყვედრი, რომ იმდენს ვერ ვმეცადინეობ, რამდენიც საჭიროა. იცი, მამა, დაფიქრებით განაგრძო ლიზამ: ამოდენა ხანია ვსწავლობ და, როგორც ვხედავ, საფუძვლიანად-კი არაფერი ვიცი.

— რატომ, შვილო, მე მაგას ვერ გატყობ! შენ არ იყავი, რომ იმ დღეს ყმაწვილებს ისტორიის ცოდნაში გადააჭარბე კიდეც, ყველას სიტყვა მოუჭერი და ჩააჩუმე.

— კიდეც ეგ არის, მამა, რომ მე მხოლოდ ის ვიცი, როდის რა ამბავი იყო და სხვა-კი არაფერი. ამის ცოდნა საკმარისი არა ყოფილა. შენ უნდა გენახა, რა რიგად მიამბო პეტრემ საფრანგეთის დიდის ამბოხების მიზეზები. როცა ის ამ ამბავს მიამბობდა, ისე გამიტაცა იმისმა ბაასმა, ისეთს აღტაცებაში მოვედი, რომ ასე მეგონა სწორედ პარიჟის ქუჩებში ვარ-მეთქი, მთლად კანკალმა და ცახცახმა ამიტანა.

მამას ელიმებოდა ქალის მხურვალე ლაპარაკზედ და ბოლოს სიცილით ჰკითხა:

— ქალო, განა ახალი მასწავლებელი ისტორიასაც გასწავლის?

— ყველაფერს მასწავლის, მამა, ყველაფერს. მე თითონ ყველაფერს ვსწავლობ იმისგან, ისეთი ჭკვიანია, ისეთი პატიოსანი... სხვებს სულ არა ჰგავს, რაც დრო გადის, იმის მეტი, ლამის ყველა კაცები შემძულდნენ.

— რადა, შვილო?..

— მაგას ნუ მკითხავ, მამა, გააწყვეტინა ლიზამ მამას ლაპარაკი: მეც არ ვიცი რადა. თუმცა წინად მიყვარდა იმათი ოხუნჯობა, იმათში ვმხიარულობდი, ვიცინოდი, მაგრამ ეხლა-კი, როცა ისინი სცდილობენ, რომ გამაცინონ, გული მომდის და ვბეზრდები.

— მაშ ყველა ხომ პეტრესთანა დაღვრემილი არ იქნება, სიცილით უთხრა მამამ შვილს.

— პეტრე დაღვრემილი არ არის, მამა!.. მე იმას ხშირად გავაცინებ ხოლმე და მაშინ ის ისეთი...

ლიზამ არ დაასრულა სიტყვა, გამოუსხლტა მამას ხელიდამ და ოდნავ გაწითლებულმა ღიმილით უთხრა:

— კარგია მომაგონე, ბატონი პეტრე მალე მოვა და გასაკვეთი უნდა გავიკვეთო.

სთქვა ესა და ცქრიალით გაექანა თავის ოთახისაკენ. მამამ ტკბილის ღიმილით გაადევნა თვალი თავის ქალს და, როცა ლიზამ კარი შეიხურა, ჩუმად წაილაპარაკა: „ბედნიერი იყავ, შვილო, ბედნიეროო!"

(შემდეგი იქნება)

## ა რ ვ ი ც ი ა

(დასასრული*)

ერთხელ ხელმწიფემ სთქვა: „მოდი ჩემ სიძეებს გამოვცდი, ყოჩაღები არიან, თუ არაო. გახდა ერთხელ განგებ ავად და სიძეებს შეუთვალა, რომ თუ მომიტანთ უკვდავების ვაშლს, მოვრჩები, თუ არა-და—მოვკვდებიო. მაშინვე შეჯდა ცხენებზედ ორივე სიძე და წავიდნენ უკვდავების ვაშლის მოსატანად.

პატარა ქალმა რომ გაიგო ეს ამბავი, მაშინვე მოვიდა მამასთან და უთხრა: მამავ, ერთი ცხენი ჩემს ქმარსაც მიეცით, იქნება იმანაც მოიტანოსო. მამა გაუჯავრდა: დაიკარგე შენცა და ისიცაო. ქალი მაინც არ მოეშვა და ბევრის ხვეწნის შემდეგ ხელმწიფემ უთხრა ბიჭებს: ერთი კოჭლი ცხენი ამასაც მიეცით და მომაშორეთ თავიდამაო.

მისცეს ერთი კოჭლი ცხენი, წაუყვანა თავის ქმარს და მისცა. შეჯდა ეს ვაჟიც და წავიდა. ცოტა რომ გაიარა, ჩამოხტა ცხენიდგან, ამოიღო ალვირი, დააჩხარუნა და იმავ წუთს რაში მოვარდა. გაიხადა ძველი ტანისამოსი, ჩაიცვა სახელმწიფო სამოსელი, შეჯდა რაშზედ და გასწია. მეორე სიძეები ჯერ შუა გზაში იქნებოდნენ, რომ ის მივიდა კიდეც უკვდავების ვაშლთან, რაში საძოვარზე გაუშვა და თითონ ვაშლის ქვეშ წამოწვა. ცოტა ხნის შემდეგ ისინიც მოვიდნენ. დაინახეს, რომ ხის ქვეშ კაცი იწვა, და იფიქრეს: უეჭველად პატრონი იქნებაო, ჩამოხტნენ ცხენებიდგან შორსვე, ფეხით მივიდნენ და სთხოვეს:

— თუ შეიძლება, ერთი-ორი ვაშლი მოგვეცი, ავადმყოფისთვის გვინდა და რაც გინდათ, გამოგვართვითო.

იმან უთხრა:

— მე ფულზე არა ვყიდი ვაშლს, რამდენიც გინდათ, წაიღეთ, მხოლოდ რაც გითხრათ, ამისრულეთო.

რას გვიბძანებო, და იმას, რომ ცოტა ყურის ბიბილოებს მოგჭრითო.

მეტი რა ღონე ჰქონდათ, დაჰყაბულდნენ მივიდა, ორივეს ყურის ბიბილო დააჭრა, მერე ვაშლი მისცა და ისე გამოისტუმრა. ეს ყურის ბიბილოები ხელსახოცში შეახვია, რამდენიც უნდოდათ ვაშლი წამოიღო და წამოვიდა.

მოვიდა კიდევ იმ ალაგას, სადაც ცხენი გაუშვა, ჩამოხტა რაშიდამ, გამოიცვალა ტანისამოსი და ისე მივიდა შინ. ცოლს უთხრა: აი თუ გინდა წაუღე მამაშენს უკვდავების ვაშლიო. მართლაც, გააქცუნა და მიუტანა თავის მამას: აი, მამავ, მოიტანა ჩემმა ქმარმა ვაშლიო. გამოუყარეს უკან და უთხრეს: დაიკარგე აქედამ, მგონი ემანდ ბაღში დაუკრეფია სადმე და უკვდავების ვაშლს არქმევსო. მე მაგას ერთი კოჭლი ცხენი მივეცი და ჩემი სიძეები უფრო კარგს ცხენებზედ არა სხედან, ეგ თუ არა სტყუის, ჯერ ისინი არ მოსულან და ეგ მაგრე ჩქარა როგორ მოვიდაო. უფრო ძალიან შეიძულა ხელმწიფემ ქალიცა და სიძეც, რომ მატყუებდნენო.

მოვიდნენ იმის სიძეები, მოუტანეს უკვდავების ვაშლი და მიართვეს, ხელმწიფეს ძალიან გაუხარდა და მადლობა გადაუხადა.

გაიარა რამდენმამე ხანმა და კიდევ გახდა ხელმწიფე ავად. დაიბარა სიძეები და უთხრა, რომ თუ ირმის რძეს მომიტანთ, ხომ მოვრჩები, თუ არა-და, მოვკვდებიო. კიდევ შესხდნენ კარგს ცხენებზედ სიძეები და წავიდნენ ირმის რძის მოსატანად. გაიგო თუ არა პატარა ქალმა, კიდევ მივიდა მამასთან და უთხრა, რომ ერთი ცხენი ჩემს ქმარსაც მიეცით, იქნება იმანაც მოიტანოსო. ძალიან თავი რომ მოაბეზრა, მეფემ უბრძანა ბიჭებს: მიეცით ერთი კოჭლი ცხენი და მომაშორეთ თავიდამაო.

მისცეს ერთი კოჭლი ცხენი და მიუყვანა თავის ქმარს. შეჯდა არვიცია და წავიდა. გაიარა ცოტა მანძილი, ჩამოვიდა ცხენიდამ, ამოიღო ალვირი ჯიბიდამ, დააჩხარუნა და იმავ საათში მოვარდა რაში. გამოიცვალა ტანისამოსი, შეჯდა რაშზედ და წავიდა. მივიდა იმ ალაგას, სადაც

*) იხ. „ივერია" № 205.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრთომამ. ამოდენა ხალხმა დაჰკრა ტაში და სიყვარულით მიეგება პრეზიდენტს. ამის გამო მალე გული მოეცა და დაიწყო ლაპარაკი ხმა-მაღლა, მკაფიოდ და გარკვევით, ისე რომ თითქმის ყველას ესმოდა იმისი სიტყვები. ლაპარაკობდა კარნო უბრალოდ, თითქო შინაურობაში ლაპარაკობსო. ეტყობოდა-კი, რომ მოლაპარაკე ოფიციალური წარმომადგენელი იყო იმ ქვეყნისა, რომელიც კარგად ჰგრძნობს თავის ძალას, თავი მოსწონს განათლებით, თავისის ერის კეთილდღეობით. კარნოს ლაპარაკი შეეხებოდა, რასაკვირველია, გამოფენას, მის მნიშვნელობას მრეწველობისათვის, ცოდნის გავრცელებისათვის და საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების დაახლოვება-დამეზობლობისათვის. კარნოს შემდეგ ილაპარაკა ტირარმა და, დასასრულ, ბერჟემ წაიკითხა სია იმ ექსპონენტებისა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ...

## წვრილი ამბები

ზანგი დინა სალიფრუ, ნალუსის ტომის მეფე, უკვე რამდენსამე კვირას პარიჟში სცხოვრობდა თურმე, თანა ჰყავდა თავისი მეუღლე და რამდენიმე ახალგაზდა პრინცი, მეზობელ მეფეთა შვილნი, ოთხი მემუსიკე, და ჰსიამოვნებდა და ქეიფობდა საფრანგეთის მთავრობის ხარჯით. უეცრად ამ ზანგს თვალი მოჰკრა თურმე, მისდა საუბედუროდ, სპარსეთის შაჰმა და ცნობის-მოყვარეობით დაუწყო სინჯვა. თავის დღეში სახელიც-კი არ გაეგონა ნალუსთა ტომისა, მაგრამ მაინც ახლო მოიწადინა გაცნობა ამ ზანგისა, მოისო გვერდით და დაუწყო არაბულად ლაპარაკი. აღმოჩნდა, რომ დინა სალიფუმ არაბული ენა არ იცოდა, თუმცა მაჰმადიანი იყო და ყორანი ნასწავლი უნდა ჰქონოდა. მეტი ღონე არ იყო, შაჰმა ფრანგი თარჯიმანი მოიწვია და იმის პირით ელაპარაკა. ესეც რომ მოჰბეზრდა, შაჰმა თავისს სახლში მიიპატიჟა თურმე ნალუსთა მეფე. ეს მიპატიჟება დინას ძალიან ესიამოვნა და ეწვია თურმე სპარსეთის მბრძანებელს. ნასრ-ედინმა რამდენიმე რამ ჰკითხა და ამაზედ ზანგმა ისე ცრუდ დაუწყო ლაპარაკი, რომ შაჰმა ეჭვი მიიტანა, ეს კაცი ვითომ მართლა მეფეაო. გამოიძიეს თურმე მართლა და დარწმუნდნენ, რომ ნალუსის ტომი ქვეყანაზედ არა არსებულა, ეს ზანგი მამასახლისი ყოფილა ერთის პატარა სოფლისა, თვით საფრანგეთის მთავრობის მიერვე დანიშნული. საფრანგეთში ქეიფსა და კარგს ცხოვრებას ისე თავ-ბრუ დაუხვევია, რომ უსირცხვილოდ დაუწყია კვახნა-ტრაბახი და ტყუილების თქმა. ბოლოს იქამდეც-კი თავწასულა, რომ უზრდელად მოჰქცევია მაიორს ნუაროს, იმის მომვლელს სენეგალოდგან. მაიორს ეს უზრდელობა სწყენია, ჯოხით უცემია და სულ-მეფე დამორჩილებულა. ეხლა უკვე სამშობლოში გაუგზავნიათ ეს ზანგი.

— ემილ ზოლა ამას წინად ნაფიც მსაჯულად მიუწვევიათ. ეს გარემოება არაფრად სჭაშნიკებია ამ გამოჩენილს რომანისტს და აი რა უთქვამს გაზეთ „Gaulois“-ის ერთის თანამშრომლისათვის: „ვერ წარმოიდგენთ, რა უსიამოვნოდ დარჩა ჩემი ნაფიც მსაჯულად ამორჩევა. თანახმა ვარ, რომ ნაფიცთა მსაჯულთა სასამართლო ფრიად საჭირო და სასარგებლო დაწესებულებაა და თავამდებია, რომ მართლ-მსაჯულება არაფრით იქნება შებღალული. კარგი, მაგრამ მოსამართლეობას რად ახვევენ კისერზედ იმ კაცს, რომელიც არც გულით არის მოწადინებული ამ საქმეს და არც სულით. სწორედ ამ ნაირს მდგომარეობაში ვარ ეხლა მეც. ამას გარდა არც მატერიალურად არის ეს საქმე ჩემთვის სასარგებლო. განა ადამიანის პირად თავისუფლების შეზღუდვა არ არის ის, რომ ორი კვირა თავისს ჩვეულებრივს საქმეს მოაცდინო და უფლება არ მისცე მოსამართლეობაზედ უარი განაცხადოს? მართლ-მსაჯულების საქმე თავისუფლად უნდა სწარმოებდეს და არა ძალდატანებით. ეხლა ჩვენში ჩვეულებად არის შემოღებული, რომ ძალ-დატანებით ხან ვის მოახვევენ ხოლმე თავზე ნაფიც მსაჯულობას და ხან ვის, და ამით დიდს ზიანს აძლევენ შრომასა და შრომის თავისუფლებას ჰზღუდავენ. აი ეხლაც სასამართლოში ნაფიც მსაჯულად გაწვევა იმას მიზამს, რომ ხელს შემიშლის და ჩემს ახალს რომანს „La bête humaine“-ს, რკინის გზის ცხოვრებიდგან აღებულს, ვეღარ გავათავებ. ჩვეული ვარ ყოველთვის დილით მუშაობას, ცხრა საათიდგან პირველამდე, და ეხლა-კი ჩემდა უნებურად თავი უნდა დავანებო ამ საქმეს და სასამართლოში გამოვიჭიმო მოსამართლედ და, იქნება, ცუდ მოსამართლედაც, რადგან, ჩემის აზრით, მე არავის განსჯისა და განსამართლების უფლება არა მაქვს. წარმოიდგინეთ, რომ ჩემი სათვილისოფიო რწმენა ნებას არ მაძლევს მოსამართლის თანამდებობა ვიკისრო, განა იმაზედ ტრაგიკული მდგომარეობა შესაძლებელია, როგორშიაც მე ვარ ახლა. რასაკვირველია, შეიძლება ჯარიმა გადავიხადო და ამით ავიცილო თავიდგან, მაგრამ რაზედ უნდა გადავიხადო ჯარიმა, სადა აქვს ამ ჯარიმის გადახდევინებას სამართლიანი საფუძველი. ცოტა არ არის ისეთი კაცი, რომელნიც მოსამართლედ ყოფნას უფრთხიან და ერიდებიან, ზნეობრივად ეშინიათ მსაჯული გაუხდნენ თავისს მახლობელს, თავიანთს თავსაც დამნაშავედ, ბრალეულად სთვლიან და არ უნდათ სხვის დასჯის მოვალეობა იკისრონ, თვით სასჯელის ღირსთა. ამასთანა ადამიანი დამნაშავეს ყოველთვის მოუძებნის შესამსუბუქებელს გარემოებას და ან სულ გაამართლებს... განა ისევ ის არა სჯობია, რომ ამისთანებს საშუალება მისცენ ნაფიც მსაჯულად არჩევაზედ უარის თქმისა, იმ მოვალეობისა, რომლის ასასრულებლადაც ღონე არ შესწევთ?!

—გაზ. „Eclair“-ში რამდენიმე ცნობაა დაბეჭდილი ბულანჟეს დასის შესახებ: გენერალს ეხლა ძალიან უჭირს თურმე ფული, აღარ შეუძლიან მშვენიერი სადგომი დაიჭიროს «Portland Place»-ში, ჟერსეის კუნძულზედ წავიდა და თან მხოლოდ ერთად-ერთი თავისი მდივანი ბ-ნი ბუტონი წაიყვანა. როშფორი ევგიპტეში აპირებს წასვლას. ამ ბოლოს დროს როშფორსა და ბულანჟეს დიდი ჩხუბი მოუვიდათ და შეიძლება სულ ერთიან გაშორდნენ კიდეც ერთმანეთს და განცალკევდნენ. დილიონი, დეპუტატად ამორჩეული მორბიგანში, საფრანგეთში მოსვლას აპირებს და იმედი აქვს, რომ არ დაიპატიმრებენ, რადგან დეპუტატი გარო.

## დეპეშა

29 სექტემბერი

პეტერბურგი. გუშინ პეტერბურგის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების წარმომადგენლებს საგანგებო კრება ჰქონდათ. საზოგადოებას წინად ექსს მილიონზე მეტი ზარალი მოსვლია და ეს ბრალდება ძველს დირექტორებსა და დამფასებლებს საზოგადოებისას. ეხლა საგანგებო კრებამ განიხილა და დაამტკიცა ამის შესახებ მოხსენება გამგეობისა და ზედამხედველის კომიტეტისა. კრებამ დაადგინა სარჩელი გაუმართოს ძველს დირექტორებსა და დამფასებლებს.

ფინანსთა მინისტრმა დააწესა ფასი ქაღალდის მანეთიანისათვის, ამ წლის 1 ოქტომბრიდგან 1890 წ. 1 იანვრამდე, საბაჟოებთან ანგარიშის გასასწორებლად: ერთ ვერცხლის მანეთიანში —70 კაპ., ქაღალდის მანეთიანში 65 კაპ.

გუშინ გარდაიცვალა სამხედრო-საექიმო მთავარ-ინსპექტორად ნამყოფი ნიკოლოზ ილარიონის ძე კოზლოვი.

კილი. გუშინ, საღამოს ხუთს საათსა და ნახევარზე, ადმირალი გოლცი და კნარრი, გოფმარშალი სეკენდორფი, გენერლები ვერდერი და კალტენბორნი და რუსეთის ელჩი გრაფი შუვალოვი წავიდნენ საიმპერატორო იახტა „დერჟავაზე“, რათა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე წარმდგარიყვნენ. „დერჟავა“, რომელიც სასახლის ბაღის წინ იდგა, ელექტრონით იყო განათებული. საღამოზე სადილი იყო გამართული და მოწვეულნი იყვნენ ზემოდ მოხსენებული კაცები. ახლო-მახლო ადგილები და ინგლისისა და გერმანიის სამხედრო გემები განათებული იყო ელექტრონით. ათის ნახევარზე საპატიო ყარაული ბაირაღითა და მუსიკით დადგა ბარბარისის ხიდზე. იმავე დროს გამოვიდნენ ჯარები და გამწკრივდნენ. ნავთსადგურის ნაპირა ქუჩები სულ სავსე იყო ხალხით. 11 საათზე და 25 წუთზე ხელმწიფე იმპერატორი და დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე დერჟავიდგან იენსენის ხიდზე წავიდნენ ნავით. თან ახლდნენ გენერალ-ადიუტანტები. ხიდიდგან ქვეითად წავიდნენ რკინის გზის სადგურზე. ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა საპატიო ყარაული. ამ დროს მუსიკა უკრავდა. ხალხი მოწიწებით მიეგება უავგუსტოესს სტუმარს. 12 საათსა და 3 წუთზე სამეფო მატარებელი წავიდა.

29 სექტემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია წესდება საზოგადოებისა, რომელსაც საგნად აქვს დაეხმაროს სამანუფაქტურო მრეწველობას. საზოგადოება მო-

---

ირმები არიან. თითონ ერთ ალაგას დადგა, რაში და დათვის ლეკვები წავიდნენ, მოირბინეს იქაურობა ერთ წუთში და სადაც-კი ირმები იყვნენ, სულ იქ მორეკეს. არეიციამ დაიდგა კარავი, კარავში მხარ-თეძოზედ წამოწვა და რაშმა და დათვის ლეკვებმა სულ გარეშემო შემოარტყეს კარავს ირმები. ესენი შორი-ახლოს დადგნენ საყარაულოდ და ირმები შესასვენებლად დაწვნენ.

ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდნენ ხელმწიფის შვილები, რომლებიც დიდი ხანია ირმებს ეძებდნენ და ვერსად ვერ ენახათ. დაინახეს ამათ, რომ მინდორზედ კარავი დგას, შიგ ერთი კაცი წევს და გარეშემო ირმები უწვანან. სთქვეს, რომ უთუოდ ის კაცი წმინდანი იქნება და ირმები იმიტომ შემოხვევიან გარეშემოვო. ჩამოხდნენ ცხენებიდგან, დაიჩოქეს მუხლის თავებზედ და ისე ჩოქით მიეიდნენ კარავთან. შეეხვეწნენ ეს ყმაწვილები: ავადმყოფი გვყავს, ცოტა ირმის რძე მოგვეცით და რაც გინდა, გამოგვართვითო.

არეიციამ უთხრა:

— მე ფულზე არა ვყიდი რძეს, რამდენიც გინდათ, წაიღეთ, მხოლოდ რაც გითხრათ, ამისრულეთ.

— რას გვიბრძანებ.

— იმას, რომ ჩემი ჩვეულებაა ნეკის თითები უნდა დაგკრათო.

თუმცა ძალიან ძნელი იყო, მაგრამ რას იზამდნენ, დაჰყაბულდნენ. მივიდა, ორივეს ნეკები დააჰრა, რძე მისცა და გაისტუმრა. აიღო ნეკები, ხელსახოცში შეახვია, რამდენიც უნდოდა, რძე წამოიღო და წამოვიდა. მოვიდა კიდევ იმ ალაგას, სადაც ცხენი გაუშვა, ჩამოხდა რაშიდამ, გამოიცვალა ტანისამოსი, სახელმწიფო ტანისამოსი რაშს დააკეცა, ძველები ჩაიცვა და ისე მივიდა შინ.

მიიტანა რძე და თავის ცოლს უთხრა: „აი თუ გინდა წაუღე მამაშენსაო“. ქალმა გამოუქცია თავის მამას გახარებული და უთხრა: აი, ჩემმა ქმარმა ირმის რძე მოიტანაო. კიდევ გამოაგდეს სახლიდამ—დაიკარგე აქედამ, ცხვრის რძე მოუტანია და იძახი, რომ ირმის რძეაო. დაღონებული ქალი მოვიდა შინ და უთხრა ქმარს: არ მიიღესო. არა უშავს-რა ღმერთი მოწყალეაო, უპასუხა არეიციამ.

მოუვიდნენ მეორე სიძეები ხელმწიფეს და მოუტანეს ირმის რძე. გაუხარდა და დიდი მადლობა გადაუხადა. ხელმწიფეს ძალიან უხაროდა, რომ ყოჩაღი სიძეები ვიშოვნეო. ერთხელ ამ ხელმწიფეს მეორე ხელმწიფისაგან კაცი მოუვიდა და შემოეთვალა, რომ უეჭველად უნდა მეომოვო. თუმცა მომზადებული არ იყო, მაგრამ მაინც უკან არ დაიხია და შეუთვალა, რომ მობრძანდი და მზადა ვაროო. თავის სიძეებისაგან ძალიან დიდი იმედი ჰქონდა: ისინი მიშველიანო. მოვიდა დრო და უთხრა სიძეებს: აბა, ჩემი გაჭირების დღე ეს არის და თუ მიშველით რასმე, ეხლა უნდა მიშველოთო. რომელიც თავს გამოიჩენთ და ყოჩაღი იქნებით, ჩემს სახელმწიფოს იმას დავულოცავო.

დადგა ის დღე, რა დღეც საომრად ჰქონდათ დანიშნული, და დაიწყეს ბრძოლა. დიდი ხანი იბრძოლეს. ორივე მხარეს ბევრი ხალხი დაიხოცა. ამ დიდის ხნის ომს შემდეგ დარია ხელი მოსულმა ჯარმა და სულ უკან დაიბრუნა ეს მეომარნი. ისეთი დღე დააყენა, რომ კინაღამ მთელი სახელმწიფო ხელში არ დაიჭირა.

ამ დროს ხელმწიფე ღმერთს ეხვეწებოდა: „ღმერთო, დამიხსენ ამ გაჭირებისაგანაო“. ომს არეიცია შორიდგან უყურებდა და თავისების ძლევა რომ ჰნახა, იფიქრა: „ამაზედ კარგი შემთხვევა აღარ იქნება და ამაზედ კარგს ალაგასაც ვეღარ გამოვიჩენ თავსაო. თქმა და ქმნა ერთი იყო. ამოიღო ჯიბიდამ ალვირი, დააჩხარუნა და მოვიდა იმავ წუთში რაში. გამოიცვალა ტანისამოსი, შეიჭურვა უკეთესის აბჯრით, შეჯდა რაშზე და ფრინველსავით გადაფრინდა ჯარში. გაიძრო ხმალი და შეუტია იმათ ჯარს. რასაც თითონა ხოცავდა, ორ იმოდენას იმისი რაში ანადგურებდა ფეხებით. ერთს საათში ისეთი დღე დააყენა მტრის ჯარს, რომ სულ ზურგზედ ბოლი აადინა. გაიბრუნა ეს ჯარი, უკან მიჰყვა და თითქმის სულ გაწყვიტა. ამ ცხარე ომში რომ იყო, ერთბაშად ხელი შეიჭრა თავის ხმალზედ სიფიცხით. ხელმწიფემ შენიშნა, რომ ხელიდამ სისხლი დასდიოდა, ამოიღო ჯიბიდამ ბალდადი, გადახტა და შეუხვია ხელი.

როდესაც დაამარცხა არეიციამ მტერი და ნახა, რომ აღარავინ იყვნენ მეომარნი, ერთბაშად შემოჰკრა რაშს მათრახი და უჩინარ იქმნა. ხელმწიფემ ხან აქეთ მიიხედა, ხან იქით, მაგრამ ვეღარსად დაინახა. ამ დროს დაიწერა პირჯვარი და სთქვა: მადლობა შენთვის, ღმერთო, რომ გადამარჩინე. ის მეომარი უეჭველად ღვთისაგან მოგზავნილი ანგელოზი იყო, თორემ ადამიანის შვილი მაგას როგორ იზამდაო. დააჯერა გული, რომ უთუოდ ღვთისგან მოგზავნილი ანგელოზი იყოვო, და წავიდა შინ.

ცოტა ხანს შემდეგ ერთი ვეზირი შევიდა ხელმწიფესთან და მოახსენა: ბატონო ხელმწიფევ, თქვენის ჯიბის ბალდადით თქვენს პატარა სიძესა აქვს ხელი შეხვეულიო. ხელმწიფე ძალიან გაჰკვირდა და უთხრა: რას ამბობ, შეუძლებელიაო. ვეზირმა შეჰფიცა: ჩემის თვალითა ენახე. იმათ სახლ წინ გამოვიარე, კარი ღია იყო და შევიხედე. თქვენი სიძე ტახტზედ იწვა და თქვენის ბალდადით ჰქონდა ხელი შეხვეულიო. მაშინ გაგზავნა რამდენიმე ბიჭი და უთხრა: წადით, ნახეთ, თუ მართლა ჩემი ბალდადი ეხვიოს ხელზედ, ცოცხლად აიყვანეთ ხელში და აქ მოიყვანეთო.

წავიდნენ, ნახეს, რომ მართლა ხელმწიფის ბალდადითა ჰქონდა ხელი შეხვეული, ასწიეს ისე ცოცხლად და მიიყვანეს ხელმწიფესთან. ხელმწიფემ დახედა, იცნო თავისი ბალდადი, მოეხვია, გადაჰკოცნა და შეეხვეწა: მითხარი, ეს როგორ მოხდა, ან ვინა ხარ, რად გვიმალავ შენს ვინაობასაო.

ამ დროს დაიწყო არეიციამ და სულ უთხრა თავით ბოლომდინ: მე მავანის ხელმწიფის შვილი ვარ და ამა-და-ამ საქმის გულისთვის წამოვედიო. თქვენ რომ პირველად ავად გახდით და თქვენმა სიძეებმა უკვდავების ვაშლი მოგიტანათ, ეს ყურები მაშინ დავაჭერიო. ამოიღო და დაუწყო წინ. მეორედ რომ ავად გახდით და ირმის რძე მოგიტანათ, მაშინ კიდევ ნეკები დავაჭერო; ამოიღო და ისინიც დაუწყო წინ. ესენი იმიტომ შევინახე, რომ შემდეგ უარი არ ეყოთ ეს ამბავი. შეამოწმეს და დაამტკიცეს, რომ იმათგან იყო ესენი მოჭრილი. ის თქვენ მტერს მიეცეს, რაც იმ დროს ხელმწიფის შვილებს დღე დაადგათ, ისე ეწყინათ, რომ სიკვდილი ერჩივნათ სიცოცხლეს. ხელმწიფემ ნახა, რომ ისინი უხეიროები ყოფილიყვნენ, მაშინვე დაითხოვა სახლიდამ, იმათაც წაიყვანეს თავიანთი ცოლები და წავიდნენ თავიანთ ქვეყანაში საცხოვრებლად. ხელმწიფემ-კი თავისი სახელმწიფო ამ პატარა სიძეს დაულოცა, კარგი ქორწილი გადაუხადა და დაასახლა თავის სასახლეში. იმ დღიდგან დაიწყეს ტკბილი ცხოვრება. თუმცა ბევრი ტანჯვა გამოიარა არეიციამ, მაგრამ ბოლო მაინც კეთილი იყო.

სკოლში იქნება. საზოგადოებას უფლება აქვს სკოლები, მუზეუმები, ლაბარატორიები და გამოფენები.

გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტებში შემოღებულ იქმნას ნახევარის წლის გამოცდა, იმ უნივერსიტეტებში, რომლებიც 1864 წლის წესდებაზე არიან დამყარებულნი.

ბერლინი. დილის ათს საათზე, რუსის საიმპერატორო მატარებელი მოვიდა ვოგზალში. მუსიკამ დაუკრა რუსის ეროვნული ჰიმნი და საპატიო ყარაულმა სალამი მისცა დროშით. იმპერატორ ვილჰელმს ტანთ-ეცვა პრუსიის გრენადერის პოლკის მუნდირი მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ შორიდამ სალამი მისცა იმპერატორს ვილჰელმს. ყველამ შენიშნა, რომ ხელმწიფე იმპერატორი მხიარული იყო. მათ უდიდებულესობათა ჩამოუარეს საპატიო ყარაულს და შემდეგ ეტლით წაბრძანდნენ რუსის საელჩოში; ვოგზლის დარბაზი მორთული იყო დროშებით. სამეფო სამყოფლის შესავალი მორთული იყო ძვირფასის ყვავილებით; გამოსავალი და ბალდახინი—ოქროს არშიით. ვოგზალში შეიკრიბნენ სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა დიდეიულნი, კარის კაცნი საპარადო მუნდირში. ამათ შორის იყვნენ: თავადი ბისმარკი, გრაფი ჰერბერტ ბისმარკი, გენერალ პაპე გვარდიის კორპუსის უფროსი გიულესემი და გრაფი ვალდერზე. აქვე იყვნენ პრინცები. გერმანიის იმპერატორი თავისის სახელობის ქვეითის პოლკისა. საუზმეზე, რომელიც გამართა რუსეთის საელჩოში გრაფმა შუვალოვმა, დაესწრნენ: იმპერატორი ვიჰელმი და ყველა დიდებულები. გრაფმა შუვალოვმა ასწია ბოკალი, მიულოცა ხელმწიფე იმპერატორს მობრძანება და დალია სადღეგრძელო მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა. მემუსიკეთა ხორომ დაუკრა რუსის ჰიმნი. შემდეგ ხელმწიფე იმპერატორმა სადღეგრძელო მიირთვა ვილჰელმისა. საუზმის დროს იმპერატორები ერთმანეთს დიდის სიყვარულითა და თავაზით ეპყრობოდნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 29 სექტემბ.

| | მყიდველნი<br>სა. | გამყიდვე-<br>ლისა. | გაყიდუ-<br>ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 7 68 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 152¹/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 261¹/₄ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 238¹/₄ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 სექტემბრიდამ 1 ოქტომბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა . | 3¹/₂ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3¹/₂ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | „ |
| ღორის ხორცი . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

იბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილის კადაზე გემები.

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ჟანნა-დარკ. . . . . . | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. . | „ | 5 |
| ქართული თეატრი . . | „ | 40 |

დაიბეჭდა და ისყიდება

ყველა წიგნის მაღაზიაში

ახალი ქართული წიგნი:

ქართული თეატრი

(1879—1889)

ვალერიან გუნიასი.

შინაარსი:

I. სახსოვრად ქართულის სამუდამო სცენის ათის წლის თავისა. II. წინასიტყვაობის მაგივრად. III. ქართულის თეატრის დასაწყისი და იმისი თავ-გადასავალი. IV. ქართული სამუდამო სცენა (1879—1889). V. რაეჭირვება ქართულს თეატრს. VI. ქართული დრამატურგები. VII. ქართული არტისტები. VIII. დრამატიული ხელოვნება. IX. სასცენო ხელოვნება. X. თეატრის მნიშვნელობა.

ფასი 40 კაპ.

(10—8)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ვაჟა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა . . | „ | 20 |
| გრამატიკა, არ. ქუთათელაძესი . . . . . | „ | 40 |
| გრამატიკა, ჟორდანიასი . | „ | 55 |
| მიბაძვა ქრისტესი, უყდოდ, | „ | 40 |
| ყდით, . . . . . . . | „ | 70 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა . . . . . . . | „ | 70 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. . . . . | „ | 20 |

დაზღვევა სიცოცხლისა

ზღვევის საზოგადოებაში, სახელწოდებით

„რუსეთი“

უმაღლესად დამტკიცებულია 1881 წ.

დაზღვევა და უზრუნველ-ყოფა

ქონებისა და ფულისა მემკვიდრეთათვის;
პენსიისა ქვრივთათვის;
ქონებისა და ფულისა, რომელიც მოხუცებაში მიეცემა დამზღვეველს;
პენსიისა მოხუცებულობაში;
მზითვისა გასათხოვარ ქალთათვის;
სტიპენდიისა ყმაწვილებისათვის;
ყოველ-წლიურ შემოსავლისა სიკვდილამდე.

დამზღვეველთ წილი აქვთ საზოგადოების მოგებაში

1 იანვრამდე 1889 წ. საზოგადოებაში „რუსეთი“ დააზღვია და უზრუნველ-ჰყო 20,107 კაცმა 56.795,020 მანათის ფული და ქონება.

მოგება დაზღვევათა 1887 წელს იყო 12%, თხოვნა ზღვევისა და ყოველ გვარი ცნობა ზღვევის შესახებ უნდა გაეგზავნოს მართველობას პეტერბურგს, Большая морская, № 13. ტფილისის აგენტებს ვ. ლ. პოტკოვსა და ი. ბ. გოლდფარბსა და საზოგადოების სხვა სააგენტოებს იმპერიის ქალაქებში.

ბროშურები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ ყველას, ვისაც სურს, უფასოდ ეძლევა და ეგზავნება.

სოლოლაკის ქუჩა, სახლი თავ. მელიქოვისა, ირაკლი-გრუზინსკის სახლის პირდაპირ.

(10—5)

ქირურგი ექიმი

პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნეკრესის სნეულებას, ნეკრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8 მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ, საინტენდანტოს უწყების მახლობლად.

(14—10)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით . . . | 10 მ.—კ. | 6 | თთვით . . . | 6 მ.—კ |
| 11 | „ . . . | 9 „ 50 „ | 5 | › . . . . | 5 „ 25 „ |
| 10 | „ . . . | 8 „ 75 „ | 4 | › . . . . | 4 „ 75 „ |
| 9 | „ . . . | 8 „ — „ | 3 | › . . . . | 3 „ 50 „ |
| 8 | „ . . . | 7 „ 25 „ | 2 | › . . . . | 2 „ 50 „ |
| 7 | „ . . . | 6 „ 50 „ | 1 | › . . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ ითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკის სახლში.

დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:

Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 112.

Доз. ценз. Тифлисъ 30-го Сентября, 1889 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Тиографія Е. Г. Месх. пом. Т. Д. З. Банка, на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე